ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2691538

ნომერი: AR1419351

თარიღი : 04.07.2016

გაცემის თარიღი : 06.07.2016

გაცნობის თარიღი : 06.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 116 , (ნაკვეთი 08/032) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალმახელიძე პ/ნ 20001004247
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #51, 1 კვ. კორპ. #10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N116–ში არსებული ღობის დემონტაჟის საკითხს.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების II თავის მე–4 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, დემონტაჟი გულისხმობს შენობა–ნაგებობის დაშლა/დანგრევას. თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ხდება არსებული ღობის ნაწილობრივ დემონტაჟი, რაც წარმოადგენს არა არსებული ნაგებობის დემონტაჟს, არამედ რეკონსტრუქციას. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით, ან საჭიროა დამუშავდეს არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტი და განაცხადი და საპროექტო დოკუმენტაცია დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N116–ში არსებული ღობის დემონტაჟის საკითხს ვერ დააკმაყოფილებს. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.